ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოს საბანკო სექტორში

ნინო შამათავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (საბანკო და საფინანსო საქმეში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო 2022-2023 წლის კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის გაზაფხულის სემესტრში, აკადემიური წერის კურსის ფარგლებში ჩემს მიერ რეცენზირებული სამაგისტრო ნაშრომიდან - ქართულ საბანკო-საფინანსო სისტემაში დიჯითალიზაციის მიმდინარე პროცესი და მათი შედარება გლობალურ ბაზარსა და ონლაინ-სავაჭრო სეგმენტთან.

მაგისტრანტი

ნინო შამათავა

15.06.2023

აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია თანამედროვე საბანკო საქმიანობა, რომელიც წარმოუდგენელია ტექნოლოგიური ინოვაციების გარეშე. დღევანდელ რეალობაში საბანკო სექტორში პრიორიტეტი ენიჭება სხვდასხვა დისტანციურ მომსახურებას. კვლების პირველ ეტაპზე განხილულია ციფრული ეკონომიკა, მისი არსი და დატვირთვა დღევანდელ მსოფლიო ბაზარზე. ეს თემა აქტუალურია, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ყველაზე მეტად განვითარებული და მუდმიმ პროგრესზე ორიენტირებული სწორედ რომ საბანაკო სექტორია. შესაბამისად დიდია კონკურენციაც. სწორედ ამიტომ ბანკები მუდმივად ცდილობენ სულ უფრო მეტი ინოვაციური ტექნოლოგიები დანერგონ და გახდენენ მოწინავე ამ სექტორში. გარდა ამისა მოცემულია ელექტრონული კომერციის მნიშვნელობა და მისი გავრცელება საქართველოში. ერთ-ერთი მთავარი საკითხი რაზეც ნაშრომშია საუბარი ეს არის სწორედ ის ინოვაციური პროდუქტი, რომელსაც დღეს მსოფილიოს განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად შევხვდებით. ესაა ციფრული ბანკი, რომელიც არაა წარმოდგენილი ფილიალების სახით. ნაშრომში ციფრული ბანკის ტიპებია განხილული და ასევე მოყვანილია ნეო-ბანკის მაგალითი. ასევე ნაშრომი ეხება საქართველოში არსებულ პირველ ციფრულ ბანკს - სფეისს. მის დანიშნულებას საქართველოს საბანკო სექტორში და მისი კიდევ უფრო განვითარების გზებს.

ნაშრომის მიზანი იყო დაგვედგინა ციფრული ეკონომიკის პერსპექტივები საქართველოს საბანკო სექტორში. ასევე დაგვედგინა რომელ საბანკო სერვისს მიიჩნევდნენ პრიორიტეტულად და იყვნენ თუ არა მზად საბანკო სექტორში ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის.

კვლევის საკვლები საკითხებიც და შემდგომში ჩატარებული კვლევაც ამასთანაა კავშირში. ჩატარებულია თვისობრივი კვლევა და როგორც კვლევით დადგინდა მოსახლეობა ადვილად უწყობს ფეხს ინოვაციებს საბანკო სექტორში და მათი უმრავლესობა მზადაა მომსახურების კიდევ უფრო გაციფრულებისთვის. კვლევის საშუალებით ასევე დაგინდა, რომ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა მაინც

აქტიურად სტუმრობს ფილიალებს, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ბანკებს გადავიდნენ სრულიად ციფრულ მოდულზე.

Abstract

This master's thesis discusses the modern banking activity, which is unimaginable without technological innovations. In today's reality, priority is given to various remote services in the banking sector. At the first stage of the research, the digital economy, its essence and impact on today's world market are discussed. This topic is relevant, due to the fact that the camp sector is the most developed and oriented towards constant progress in Georgia. Accordingly, there is a lot of competition. That is why banks are constantly trying to introduce more and more innovative technologies and make them advanced in this sector. In addition, the importance of e-commerce and its distribution in Georgia is given. One of the main issues discussed in the paper is the innovative product that we will actively meet today in the developed countries of the world. This is a digital bank, which is not represented in the form of branches. The paper discusses the types of digital banks and also gives an example of a neo-bank. The paper also refers to the first digital bank in Georgia - Space. its purpose in the banking sector of Georgia and the ways of its further development.

The goal of the master's thesis was to determine the prospects of the digital economy in the banking sector of Georgia. We also found out which banking services they prioritized and whether they were ready for technological innovation in the banking sector.

The main issues of the research and the subsequent research are related to this. Qualitative research has been conducted and as the research has determined, the population easily supports innovations in the banking sector and most of them are ready for further digitization of services. The research also revealed that a certain amount of the population still actively visits branches, which in turn prevents banks from switching to a fully digital module.